საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

№ 9/26-09-01. „5" 09 2018 წ

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2017–2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი გამოცდის (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა) დაცვების ვადების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 12 მარტის სხდომაზე დამტკიცებული „თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე სამაგისტრო ნაშრომის მომზადებისა და დაცვის წესის", ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2018 წლის 23 აგვისტოს N 749/01-04 ბრძანების საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. განისაზღვროს ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2017–2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებითი გამოცდის (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა) ვადები დანართი N1 ის შესაბამისად
2. 2017–2018 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის დამატებით გამოცდები (სამაგისტრო ნაშრომის დაცვა) ფაკულტეტზე ჩატარდეს 2018 წლის 10 სექტემბრიდან 14 სექტემბრის ჩათვლით.
3. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის შესაბამის სამსახურს.
4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსების, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისა და შესაბამისი პროგრამული მიმართულებებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს ფაკულტეტის კანცელარიას.
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფაკულტეტის დეკანი თამარ გაგოშიძე

ილია ჭავჭავაძის გამზ. 11 მე-3 კორპუსი 0179 თბილისი, საქართველო
11, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელეფონი: +(995 32) 222 44 69 Tel.
ელ.ფოსტა: psy-edu@tsu.ge; E-mail

დანართიN1

სამაგისტრო ნაშრომის წინასწარი დაცვის და საჯარო დაცვის თარიღები

	სამაგისტრო პროგრამა	საჯარო დაცვა
2	გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგია	12.09.2018. თსუ III კორპუსი, აუდიტორია №204, ი.ჭავჭავაძის №11
4	განათლების ფსიქოლოგია და კვლევა	12.09.2018. თსუ III კორპუსი, აუდიტორია №301, ი.ჭავჭავაძის №11
5	შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია	12.09.2018. თსუ III კორპუსი, აუდიტორია №106, ი.ჭავჭავაძის №11
7	განათლების მეცნიერებები	11.09.2018. თსუ III კორპუსი, აუდიტორია №106, ი.ჭავჭავაძის №11
8	მასწავლებელთა განათლება	11.09.2018. თსუ III კორპუსი, აუდიტორია №106, ი.ჭავჭავაძის №11